LEPL ZAKARIA PALIASHVILI
TBILISI OPERA AND BALLET
PROFESSIONAL STATE THEATRE

Digitally signed by LEPL ZAKARIA PALIASHVILI TBILISI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE
Date: 2022.07.18 13:51:09 +04'00'

ხელშეკრულება №ო-ბ-161

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (ს/კ 203853954, მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #25; ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; სახაზინო კოდი: 708 157 169), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ბადრი მაისურაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და

მეორე მხრივ, ფიზიკური პირი ირაკლი ტურაბელიძე (შემდგომში „მიმწოდებელი“) პირადი ნომერი: 60002007269 მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22, მიმღების ანგარიში: GE40 TB79 3124 5061 6000 04

ორივე ერთად წოდებული, როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 2012 წლის 24 იანვრის №99 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლის 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.**„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“** (შემდგომში „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2. **„ხელშეკრულების ღირებულება“** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების შემდეგ.

1.3. **„დღე“, „კვირა“, „თვე“** - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. **„შემსყიდველი“** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

1.5. **„მიმწოდებელი“** – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც აწვდის შემსყიდველს შესყიდვის ობიექტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. **„შესყიდვის ობიექტი“** – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი ან\და მომსახურება.

1.7. **„მიღება-ჩაბარების აქტი”**- წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება მომსახურების მიღების შემდეგ.

მუხლის 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ოპერის თეატრის ბალანსზე არსებული 1 ცალი Yamaha-ს ფირმის პიკოლო ფლეიტის რესტავრაცია CPV 50860000

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 687.50 (ექვსას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარს. 3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა 2022 წლის 25 ივლისამდე;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

მუხლი 5. ხარისხი და გარანტია

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე ეკატერინე გელაშვილი.

მუხლი 7. საქონლის მიღება-ჩაბარების ან/და მომსახურების გაწევის წესი

7.1 საქონლის/მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით.

7.2საქონლის/მომსახურების მიღებას აწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე ეკატერინე გელაშვილი.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება **თეატრის საკუთარი შემოსავლებიდან** შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან/ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღეში.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. 9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობის შესახებ (რეკლამაცია)

10.1. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი", „მიმწოდებელს" არ გადაუხდის მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია „შემსყიდველს" დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,02 % ყოველი ვადაგადაცილებული დღეზე.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" არ განახორციელებს შესასყიდი საქონლის მოწოდებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 10 სექტემბრამდე;

მუხლი 15.ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	
სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:	
ბადრი მაისურაძე	ირაკლი ტურაბელიძე
---	---

Irakli Turabelidze 60002007269 Digitally signed by Irakli Turabelidze Date: 2022.07.17 00:06:20